

**საქართველოს მთავრობის**  
**დადგენილება**  
**N 349 2010 წლის 16 ნოემბერი ქ. თბილისი**

**ფარმაცევტული წარმოების საერთაშორისო, რეგიონული და  
ნაციონალური GMP-ის (კარგი საწარმოო პრაქტიკის) სტანდარტების  
ნუსხის აღიარების და წარმოების ნაციონალური GMP-ის (კარგი  
საწარმოო პრაქტიკის) სტანდარტის განსაზღვრისა და დანერგვის  
შესახებ** *(სათაური 28.12.2017 N 580 ამოქმედდეს 2017 წლის 31 დეკემბრიდან)*

**მუხლი 1.** *„(28.12.2017 N 580 ამოქმედდეს 2017 წლის 31 დეკემბრიდან)*

წამლისა და ფარმაცევტული საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12 მუხლის მე-4 და მე-8 პუნქტების შესაბამისად, განისაზღვროს:

ა) „საერთაშორისო, რეგიონული და ნაციონალური GMP-ის (კარგი საწარმოო პრაქტიკის) სტანდარტების ნუსხა, რომელთაც აღიარებს საქართველო“ (N<sup>o</sup>1 დანართის შესაბამისად), წარმოების ნაციონალური GMP-ის (კარგი საწარმოო პრაქტიკის) სტანდარტის დანერგვამდე;

ბ) „წარმოების ნაციონალური GMP-ის (კარგი საწარმოო პრაქტიკის) სტანდარტი და მისი დანერგვის ეტაპობრივი ვადები, რისკის მართვის პრინციპის გათვალისწინებით“ (N<sup>o</sup>2 დანართის შესაბამისად).

გ) ფარმაცევტული პროდუქტის წარმოების ნაციონალური GMP-ის (კარგი საწარმოო პრაქტიკის) სტანდარტის დანერგვის სტრატეგიული გეგმა (N<sup>o</sup>3 დანართის შესაბამისად). *(12.12.2018 N581)*

**მუხლი 1<sup>1</sup>.** *(28.12.2017 N 580 ამოქმედდეს 2017 წლის 31 დეკემბრიდან)*

წარმოების ნაციონალური GMP-ის (კარგი საწარმოო პრაქტიკის) სტანდარტის დანერგვამდე, ფარმაცევტული პროდუქტის ეროვნული რეჟიმით რეგისტრაციის დროს, რეგისტრაციის განმახორციელებელი ორგანო ვალდებულია, მიიღოს შესაბამისი კომპეტენტური ორგანოს მიერ გაცემული, ფარმაცევტული პროდუქტის ამ დადგენილების პირველი მუხლის „ა“ ქვეპუნქტით აღიარებული საერთაშორისო, რეგიონული და ნაციონალური GMP-ის (კარგი საწარმოო პრაქტიკის) სტანდარტის (დანართი N<sup>o</sup>1) მიხედვით წარმოების დამადასტურებელი დოკუმენტი.

**მუხლი 1<sup>2</sup>.** *(28.12.2017 N 580 ამოქმედდეს 2017 წლის 31 დეკემბრიდან)*

წარმოების ნაციონალური GMP-ის (კარგი საწარმოო პრაქტიკის) სტანდარტის დანერგვის შემდეგ ფარმაცევტული პროდუქტის წარმოება საქართველოში განხორციელდეს ამ სტანდარტის შესაბამისად.“.

**მუხლი 2.** *ამოღებულია (28.12.2017 N 580 ამოქმედდეს 2017 წლის 31 დეკემბრიდან)*

**მუხლი 3.** დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი

ნიკა გილაური

დანართი №1 (28.12.2017 N 580 ამოქმედდეს 2017 წლის 31 დეკემბრიდან)

**საერთაშორისო, რეგიონული და ნაციონალური GMP-ის (კარგი საწარმოო პრაქტიკის) სტანდარტების ნუსხა, რომელთაც აღიარებს საქართველო**

1. ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ რეკომენდებული GMP-ის სტანდარტი (WHO GMP).
2. ევროკომისიის მიერ აღიარებული GMP-ის სტანდარტი (European Commission – EC GMP).
3. ამერიკის შეერთებული შტატების საკვებისა და წამლების ადმინისტრაციის მიერ აღიარებული GMP-ის სტანდარტი (Food and Drug Administration – FDA Current GMP).
4. ფარმაცევტულ ინსპექციათა თანამშრომლობის მიერ აღიარებული GMP-ის სტანდარტი (Pharmaceutical Inspection Co-operation Scheme – PIC/S GMP).

დანართი №2 (28.12.2017 N 580 ამოქმედდეს 2017 წლის 31 დეკემბრიდან)

**წარმოების ნაციონალური GMP-ის (კარგი საწარმოო პრაქტიკის) სტანდარტი და მისი დანერგვის ეტაპობრივი ვადები, რისკის მართვის პრინციპის გათვალისწინებით**

1. საქართველოს ნაციონალურ სტანდარტად განისაზღვროს ევროკომისიის მიერ აღიარებული GMP-ის (კარგი საწარმოო პრაქტიკის) სტანდარტი (European Commission – EC GMP) – საბაზისო სტანდარტები – ფარმაცევტული პროდუქტებისა და აქტიური ფარმაცევტული ინგრედიენტებისათვის, დღეისათვის გამოქვეყნებული დანართების ჩათვლით (დანართების დამატებისას, ახალი დანართი ხდება ნაციონალური სტანდარტის განუყოფელი ნაწილი).
2. დაევალოს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, უზრუნველყოს GMP-ის (კარგი საწარმოო პრაქტიკის) ნაციონალური ინსპექტორატის ჩამოყალიბება 2019 წლის 1 ივლისამდე. (19.02.2019 N100)
3. 2019 წლის 1 ივლისიდან ადგილობრივი ფარმაცევტული წარმოების ნებართვა ან დამატებითი საქმიანობისთვის ნებართვა გაიცემა მხოლოდ საწარმოს საქართველოს ნაციონალური GMP-ის (კარგი საწარმოო პრაქტიკის) სტანდარტისადმი შესაბამისობის დადგენისა და შესაბამისობის დადასტურების შემთხვევაში.
4. ფარმაცევტული წარმოების ნებართვის მფლობელებმა უზრუნველყონ საქართველოს ნაციონალური GMP-ის (კარგი საწარმოო პრაქტიკის) სტანდარტით წარმოება 2022 წლის 1 იანვრიდან.
5. 2019 წლის 1 ივლისიდან (ადგილობრივ არსებულ საწარმოებში საქართველოს ნაციონალური GMP-ის (კარგი საწარმოო პრაქტიკის) სტანდარტის სავალდებულო დანერგვამდე) ფარმაცევტული წარმოების ნებართვის გამცემი ორგანო, ადგილობრივი მწარმოებლის მიერ მოთხოვნისა და შესაბამისი საფასურის გადახდის საფუძველზე, უფლებამოსილია, უზრუნველყოს საწარმოს საქართველოს ნაციონალური GMP-ის (კარგი

საწარმოო პრაქტიკის) სტანდარტისადმი შესაბამისობის დადგენა და, შესაბამისობის დადასტურების შემთხვევაში, GMP-ის სერტიფიკატის გაცემა. (26.07.2019 N348)

დანართი N3 (12.12.2018 N581)

№	საკითხი	ღონისძიებები	დაწყების თარიღი	დამთავრების თარიღი	რესურსები	პასუხისმგებელი	შენიშვნა
1	„სამკურნალო საშუალებების შესახებ“ ახალი კანონის, რომელიც ჰარმონიზებულ იქნება ევროკავშირის ფარმაცევტული სფეროს რეგულაციებთან ინიცირება და მისი ამოქმედების მხარდაჭერა						
1.1		„სამკურნალო საშუალებების შესახებ“ მომზადებული ახალი კანონპროექტის შეფასება/ გადახედვა ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის ექსპერტის მიერ	მე-4 კვარტალი 2018 წელი	პირველი კვარტალი 2019	2000 აშშ დოლარი /დონორული დახმარება	საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო (მ.შ. სსიპ - სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტო (2019 წლის პირველ	

						იანვრამდე )/სსიპ - წამლის სააგენტო (2019 წლის პირველი იანვრიდან ) (შემდგომში - სააგენტო))	
1.2		ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის ექსპერტის რეკომენდაციების გათვალისწინებით კანონპროექტის საბოლოო ვერსიის მომზადება	პირველი კვარტალი 2019 წელი	პირველი კვარტალი 2019 წელი	სახელმწიფო ბიუჯეტი	საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო (მ.შ. სააგენტო)	
1.3		„სამკურნალო საშუალებების შესახებ“ ახალი კანონიდან გამომდინარე, სხვა საკანონმდებლო აქტების ცვლილებების პაკეტის მომზადება	პირველი კვარტალი 2019 წელი	პირველი კვარტალი 2019 წელი	სახელმწიფო ბიუჯეტი	საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო (მ.შ. სააგენტო)	

1.4		„სამკურნალო საშუალებების შესახებ“ და სხვა შესაბამისი კანონპროექტების შეთანხმება დაინტერესებულ მხარეებთან (მ.შ. სახელმწიფო უწყებებთან)	მე-2 კვარტალი 2019 წელი	მე-2 კვარტალი 2019 წელი	სახელმწიფო ბიუჯეტი	საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო (მ.შ. სააგენტო)	
1.5		კანონპროექტების გადამუშავება დაინტერესებული მხარეების (მ.შ. სახელმწიფო უწყებების) შენიშვნების გათვალისწინებით	მე-3 კვარტალი 2019 წელი	მე-3 კვარტალი 2019 წელი	სახელმწიფო ბიუჯეტი	საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო (მ.შ. სააგენტო)	
1.6		მომზადებული საკანონმდებლო პაკეტის საქართველოს მთავრობისათვის გადაგზავნა, პარლამენტში წარსადგენად.	მე-4 კვარტალი 2019 წელი	მე-4 კვარტალი 2019 წელი	სახელმწიფო ბიუჯეტი	საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	

2	<p>GMP/GDP-ის სავალდებულო ამოქმედებამდე (გარდამავალ ეტაპზე - 2019 წლის 1 ივლისიდან 2022 წლის 1 იანვრამდე) ნორმატიული ბაზის მომზადება ფარმაცევტული წარმოების ნებართვის ან დამატებითი საქმიანობის ნებართვის, ასევე, ფარმაცევტული პროდუქტის, ფარმაცევტული სუბსტანციების რეალიზაციის უფლების მინიჭებასთან დაკავშირებით</p>						
2.1		<p>„ფარმაცევტული პროდუქტის საბითუმო რეალიზაციის პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 25 აპრილის №206 დადგენილების ცვლილების პროექტის</p>	<p>პირველი კვარტალი 2019 წელი</p>	<p>პირველი კვარტალი 2019 წელი</p>	<p>სახელმწიფო ბიუჯეტი</p>	<p>საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო (მ.შ. სააგენტო)</p>	

		მომზადებ ა/დამტკიცება					
2.2		„ფარმაკოლოგიურ საშუალებათა კლინიკური კვლევის, ფარმაცევტული წარმოების, ავტორიზებული აფთიაქის, სპეციალურ კონტროლის დაქვემდებარებულ სამკურნალო საშუალებათა იმპორტის ან ექსპორტის ნებართვების გაცემის წესისა და პირობების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2005 წლის 14 ოქტომბრის №176 დადგენი	პირველი კვარტალი 2019 წელი	პირველი კვარტალი 2019 წელი	სახელმწიფო ბიუჯეტი	საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო (მ.შ. სააგენტო)	

		<p>ლების ცვლილებ ის პროექტის მომზადებ ა/დამტკი ცება</p>					
2.3		<p>„ფარმაცევ ტული პროდუქტ ის რეალიზა ტორის მიერ სამედიცი ნო საქმიანობ ის სახელმწი ფო რეგულირ ების სააგენტო სთვის საბითუმო და საცალო რეალიზა ციის დაწყებისა და დასრულე ბის შესახებ შეტყობინ ების ფორმისა და წესის დამტკიცე ბის თაობაზე“ საქართვე ლოს შრომის, ჯანმრთე ლობისა და სოციალუ რი დაცვის</p>	<p>პირველი კვარტალი 2019 წელი</p>	<p>პირველი კვარტალი 2019 წელი</p>	<p>სახელმწიფ ო ბიუჯეტი</p>	<p>საქართვე ლოს ოკუპირებ ული ტერიტორ იებიდან დევნილთა , შრომის, ჯანმრთელ ობისა და სოციალუ რი დაცვის სამინისტრ ო (მ.შ. სააგენტო)</p>	

		მინისტრის 2016 წლის 20 ივლისის №01-28/ნ ბრძანების ცვლილება					
2.4		GMP-ის ინსპექტორატის ფუნქციონირებასთან დაკავშირებით, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2011 წლის 28	პირველი კვარტალი 2019 წელი	პირველი კვარტალი 2019 წელი	სახელმწიფო ბიუჯეტი	სააგენტო	

		დეკემბრის №01-64/ნ ბრძანებაში ცვლილების პროექტის მომზადება/ დამტკიცება					
2.5		საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანების პროექტის მომზადება/ დამტკიცება GMP-ის ინსპექტორატის მიერ უფლებამოსილების განხორციელების მიზნით (წარმოების ნებართვის ფორმა, GMP/GDP-ის, სერტიფიკატის ფორმა და გაცემის წესი, საწარმოო უბნის	პირველი კვარტალი 2019 წელი	პირველი კვარტალი 2019 წელი	სახელმწიფო ბიუჯეტი	სააგენტო	

		დოსიე, CPP-ს ფორმა და სხვ.)					
2.6		სანებართვო მოწმობის ფორმებში ცვლილებათა	პირველი კვარტალი 2019 წელი	მე-2 კვარტალი 2019 წელი	სახელმწიფო ბიუჯეტი	საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო (მ.შ. სააგენტო)	
3	საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობათა GMP/GDP-სისტემის ამოქმედების მიზნით		პირველი კვარტალი 2019	მე-2 კვარტალი 2019	დონორული დახმარება	სააგენტო (ინსპექტორატი)	ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკის ინსტრუმენტების გამოყენება GMP/GDP-ის იმპლემენტაციის (ფარმაცევტული ინსპექციის ფუნქციონირების, ასევე, ევროკავშირის სტანდარტებთან დაახლოების) უზრუნველყოფისათვის

4.	GMP / GDP-ის ინსპექტორების საბაზისო მომზადება (ჯანმო-სა და pharma-ის მიერ ფარმაცევტული ნაციონალური ინსპექტორატის მოსამზადებელი 3- მოდულიანი სასწავლო კურსის ფარგლებში) და მათი უწყვეტი პროფესიული განვითარება						
4.1		GMP / GDP-ის ინსპექტორების მომზადება - მოდული №1, მოდული №2, მოდული №3		მე-4 კვარტალი 2018	დონორული დახმარება	სსიპ - სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტო (ინსპექტორატი)	ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია
4.2		GMP/GDP-ის ინსპექტორების უწყვეტი პროფესიული მზადების გეგმის შემუშავება/დამტკიცება	პირველი კვარტალი 2019	პირველი კვარტალი 2019	სახელმწიფო ბიუჯეტი	სააგენტო (ინსპექტორატი)	
4.3		GMP/GDP-ის ინსპექტორების უწყვეტი პროფესი	მე-2 კვარტალი 2019	უწყვეტად	სახელმწიფო ბიუჯეტი, ყოველწლიურად 50 000 აშშ დოლარი	სააგენტო (ინსპექტორატი)	

		ული მზადების გეგმის იმპლემენ ტაცია					
5.	ინსპექტორატის ხარისხის მართვის სისტემის შემუშავების დაწყება						
5.1		ხარისხის მართვის სისტემის პირველა დი ვერსიის შემუშავებ ა	მე-4 კვარტალი 2018	პირველი კვარტალი 2019	სახელმწიფ ო ბიუჯეტი	სსიპ - სამედიცინ ო საქმიანობი ს სახელმწიფ ო რეგულირე ბის სააგენტო - ინსპექტორ ატი (2019 წლის პირველ იანვრამდე ) / სააგენტო - ინსპექტორ ატი (2019 წლის პირველი იანვრიდან )	
5.2		შემუშავებ ული ხარისხის მართვის სისტემის პირველა დი ვერსიის შეფასება საერთაშო რისო ექსპერტი ს მიერ	პირველი კვარტალი 2019	პირველი კვარტალი 2019	10 000 აშშ დოლარი დონორულ ო დახმარება/ სახელმწიფ ო ბიუჯეტი	სააგენტო (ინსპექტო რატი)	
5.3		შემუშავებ ული ხარისხის მართვის	მე-2 კვარტალი 2019	მუდმივა დ	სახელმწიფ ო ბიუჯეტი	სააგენტო (ინსპექტო რატი)	

		სისტემის დანერგვის დაწყება და მუდმივი სრულყოფა					
6	ხარისხის კონტროლი ლაბორატორია ზე ხელმისაწვდომ ობის უზრუნველყოფა						
6.1		არსებული, მათ შორის ქვეყნის გარეთ, ლაბორატორიის რესურსების გამოყენება	2019 წელი	2022 წელი	2019 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი - 300 000 ლარის ოდენობით; ყოველწლიური 30%-იანი მზარდი ტენდენციით.	საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო (მ.შ. სააგენტო)	
6.2		სააგენტოს ლაბორატორიის შექმნის სტრატეგიის და კონცეფციის შემუშავება/ იმპლემენტაცია	2019 წელი	2022 წელი	3 000 000 დოლარი, სახელმწიფო ბიუჯეტი	საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო (მ.შ. სააგენტო)	ჯანმრთელობის მონაცემებით, საშუალო სიმძლავრის ლაბორატორიის მოწყობა საჭიროებს დაახლოებით - 3 000 000 აშშ დოლარს, მიზანშეწონილია აღნიშნული თანხის გათვალისწინება

7	<p>არსებული ფარმაცევტული საწარმოებისა და სადისტრიბუციო ქსელის GMP/GDP-ის სტანდარტებზე ეტაპობრივი გადასვლის უზრუნველყოფა</p>						
7.1		<p>არსებული ფარმაცევტული საწარმოების და სადისტრიბუციო ქსელის შეფასება/ანალიზი GMP/GDP-ის სტანდარტებთან მიმართებაში</p>	<p>პირველი კვარტალი 2019</p>	<p>მე-4 კვარტალი 2019</p>	<p>სახელმწიფო ბიუჯეტი</p>	<p>სააგენტო (ინსპექტორატი)</p>	
7.2		<p>ფარმაცევტული საწარმოებისა და სადისტრიბუციო ქსელის შეფასება/ანალიზის შედეგების საფუძველზე რისკების და მათი პრევენციული ღონისძიებების განსაზღვრა</p>	<p>მუდმივად</p>		<p>სახელმწიფო ბიუჯეტი</p>	<p>სააგენტო (ინსპექტორატი)</p>	

8	<p>ფარმაცევტული საწარმოებისა და სადისტრიბუციო ქსელის მხარდაჭერა ინვესტიციების განხორციელებისა და ფინანსური შეღავათების მიღების მიმართულებით</p>		<p>პირველი კვარტალი 2019</p>	<p>მე-4 კვარტალი 2021</p>		<p>საქართველოს მთავრობა</p>	<p>თანამშრომლობა საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან ფარმაცევტული საწარმოები სა და სადისტრიბუციო ქსელის მხარდაჭერის მიმართულებით (მაგალითად, იაფი კრედიტის გამოყოფა და სხვა)</p>
9	<p>განაცხადის გაკეთება ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის სერტიფიცირების სქემაში მონაწილობასთან დაკავშირებით</p>		<p>მე-4 კვარტალი 2018</p>	<p>პირველი კვარტალი 2019</p>	<p>სახელმწიფო ბიუჯეტი</p>	<p>საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო (მ.შ. სსიპ - სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტო (2019 წლის პირველი იანვრამდე)/სააგენტო</p>	

						(2019 წლის პირველი იანვრიდან )	
10	მიმართვა ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციისა დმი პრეკვალიფიკაციის პროგრამის ინსპექტირებაში ქართველი ინსპექტორების (დამკვირვებლის სტატუსით) მონაწილეობის თაობაზე		პირველი კვარტალი 2019	მუდმივად	სახელმწიფო ბიუჯეტი	საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო (მ.შ. სააგენტო)	
11	საკომუნიკაციო სტრატეგიის განხორციელება GMP/GDP-სისტემის ამოქმედების მიზნით		პირველი კვარტალი 2019	მუდმივად	სახელმწიფო ბიუჯეტი	საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო (მ.შ. სააგენტო)	
12	საერთაშორისო სტანდარტების აღიარება (მაგ., ICH) და მათი აღსრულება ეროვნულ დონეზე		მე-4 კვარტალი 2019	მუდმივად	სახელმწიფო ბიუჯეტი	საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და	

						სოციალური დაცვის სამინისტრო (მ.შ. სააგენტო)	
13	საერთაშორისო ორგანიზაციებში (pharmacopoeia, EDQM OMCL, PIC/S, ICH) გაწვევრიანების პროცესის ინიცირება		პირველი კვარტალი 2019	მე-4 კვარტალი 2025	სახელმწიფო ბიუჯეტი	საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო (მ.შ. სააგენტო)	
14	ფარმაკოზედამხედველობის სისტემის გაძლიერება და გვერდითი ეფექტების შესახებ ანგარიშგების სტიმულირება						
14.1		სტრუქტურული ერთეულის ჩამოყალიბება	პირველი კვარტალი 2019	მე-2 კვარტალი 2019	სახელმწიფო ბიუჯეტი	საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო (მ.შ. სააგენტო)	
14.2		ნორმატიული ბაზის სრულყოფა	მე-3 კვარტალი 2019	მე-4 კვარტალი 2019	სახელმწიფო ბიუჯეტი	საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან	

						დევნილთა , შრომის, ჯანმრთელ ობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო (მ.შ. სააგენტო)	
14.3		ფარმაკოზ ედამხედველობის მიმართულეებით ადამიანური რესურსის მზადების უზრუნველყოფა	მე-2 კვარტალი 2019	მუდმივად	დონორული დახმარება, სახელმწიფო ბიუჯეტი	საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა , შრომის, ჯანმრთელ ობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო (მ.შ. სააგენტო)	
15	სააგენტოს ადამიანური რესურსის გაძლიერება (გადამზადება) საერთაშორისო მიდგომების მიხედვით		მე-4 კვარტალი 2019	მუდმივად	სახელმწიფო ბიუჯეტი/დონორული დახმარება	საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა , შრომის, ჯანმრთელ ობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო (მ.შ. სააგენტო)	